

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტა

25.12. 2015 წელი

2 ეგზ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ფინანსური აუდიტის ანგარიში N31/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	12
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....	12
• სახელმწიფო შესყიდვები	12
• მატერიალურ ფასეულობათა დაცულობის მდგომარეობა.....	20
• ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა.....	20
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	22
ანგარიშგების ფორმები	23

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი, რომელმაც მოიცვა მუნიციპალიტეტის და მის დაქვემდებარებაში შემავალი ორგანიზაციების 2014 წლის ბალანსების, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებები. 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ

მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი მუნიციპალიტეტსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებიდან, არამიზნობრივად არის გახარჯული 19,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის N2174 განკარგულების შესაბამისად, 2013 წელს ციტრუსის სეზონის მოსავლის აღების ღონისძიებათა ხელშეწყობის და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გამოეყო 12000,0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N262 განკარგულებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას გამოეყო 5445,8 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის დანიშნულებით ხარჯვის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს დაევაღათ, ციტრუსის შემსყიდველი ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი

დოკუმენტაციის საფუძველზე (მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ციტრუსის ჩამბარებელი ფიზიკური პირის, ციტრუსის შემსყიდველი პირისა და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლის მიერ და ექსპორტის დამადასტურებელი საბაჟო დეკლარაცია), შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ციტრუსის ჩამბარებელ ფიზიკურ პირებზე, მათ მიერ ჩაბარებულ ყოველ 1 კილოგრამ სტანდარტულ ციტრუსზე, დამატებით 0,15 ლარის გაცემა.

ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, თანხის მიღების მიზნით წარდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით დადგენილია, რომ 8 შემთხვევაში, ექსპორტირებული ციტრუსის რაოდენობის ხელოვნურად გაზრდის მიზნით, ადგილი აქვს სხვადასხვა ფიზიკური პირების მიერ ერთი და იგივე საბაჟო დეკლარაციების წარდგენის ფაქტებს. შედეგად, ექსპორტირებულად ნაჩვენებია საბაჟო დეკლარაციებით განსაზღვრულ რაოდენობაზე 79,1 ათასი კილოგრამით მეტი ციტრუსი და შესაბამისად ადგილი აქვს 11,9 ათასი ლარის არამიზნობრივად ხარჯვას.

N	საექსპორტო დეკლარაციის ნომერი და თარიღი	რეალიზებული ციტრუსის რაოდენობა	დეკლარაციის შესაბამისად ექსპორტირებული ციტრუსის რაოდენობა	სხვაობა კგ.	თანხა ლარი
1	C8272 25.12.13 A8260 26.12.13	18800	18800	9500	1425
	C8272 25.12.13 A8260 26.12.13	9500			
2	C24991 26.12.13 A24960 26.12.13	10000	19050	18900	2835
	C24991 26.12.13 A24960 26.12.13	9050			
	C24991 26.12.13 A 24960 26.12.13	8900			
	C24991 26.12.13 A 24960 26.12.13	10000			
3	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	10060	22050	19661	2949
	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	600			
	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	8060			
	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	1200			
	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	1080			
	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	1047			
	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	1450			
	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	862.4			
	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	1979			

	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	1520			
	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	1881			
	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	340			
	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	900			
	C8415 30.12.13 A8377 30.12.13	10732			
4	C8027 17.12.13 A7996 17.12.13	1256	22620	4167	625
	C8027 17.12.13 A7996 17.12.13	2130			
	C8027 17.12.13 A7996 17.12.13	2280			
	C8027 17.12.13 A7996 17.12.13	1366			
	C8027 17.12.13 A7996 17.12.13	5594			
	C8027 17.12.13 A7996 17.12.13	3340			
	C8027 17.12.13 A7996 17.12.13	3026			
	C8027 17.12.13 A7996 17.12.13	3460.6			
	C8027 17.12.13 A7996 17.12.13	4335			
	C8027 17.12.13 A7996 17.12.13				
5	C23969 15.12.13 A 23956 16.12.13	3483.8	39694	3700	555
	C23969 15.12.13 A 23956 16.12.13	3395			
	C23969 15.12.13 A 23956 16.12.13	22348			
	C23969 15.12.13 A 23956 16.12.13	10385			
	C23969 15.12.13 A 23956 16.12.13	3783			
6	C193 08.01.14 A187 09.01.2014	6500	19600	1400	210
	C193 08.01.14 A187 09.01.2014	6000			
	C193 08.01.14 A187 09.01.2014	8500			
	C193 08.01.14 A187 09.01.2014				
7	C821 20.01.2014 A 958 21.01.2014	12400	19345	1555	233
	C821 20.01.2014 A 958 21.01.2014	8500			
	C821 20.01.2014 A 958 21.01.2014				
8	C19116 20.12.2013 A12635 21.12.2013	14310	19305	20185	3027
	C19116 20.12.2013 A12635 21.12.2013	9000			
	C19116 20.12.2013 A12635 21.12.2013	16180			
ჯამი		259,534	180464	79070	11859

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, თანხის მიღების მიზნით წარდგენილი დოკუმენტაციის ურთიერთშედარებით გამოვლინდა, რომ 3 შემთხვევაში ერთი და იგივე საბაჟო დეკლარაციები წარდგენილია როგორც ხელვაჩაურის ასევე ქობულეთის მუნიციპალიტეტში. შედეგად

ექსპორტირებული ციტრუსის რაოდენობა ხელოვნურად გაზრდილია 47,4 ათასი კილოგრამით და შესაბამისად ადგილი აქვს 7,1 ათასი ლარის არამიზნობრივად ხარჯვას.

N	საექსპორტო დეკლარაციის ნომერი და თარიღი	რეალიზებული ციტრუსის რაოდენობა	დეკლარაციის შესაბამისად ექსპორტირებული ციტრუსის რაოდენობა	სხვაობა კგ.	თანხა ლარი	შენიშვნა
1	c23184 06.12.13 A23235 7.12.13	7240	20300	20300	3045	ხელვაჩაური
	c23184 06.12.13 A23235 7.12.13	6680				ხელვაჩაური
	c23184 06.12.13 A23235 7.12.13	6380				ხელვაჩაური
	c23184 06.12.13 A23235 7.12.13	20300				ქობულეთი
2	C8121 19.12.2013 A8088 19.12.2013	8575	19780	5663	849	ხელვაჩაური
	C8121 19.12.2013 A8088 19.12.2013	2600				ქობულეთი
	C8121 19.12.2013 A8088 19.12.2013	1700				ქობულეთი
	C8121 19.12.2013 A8088 19.12.2013	5768				ქობულეთი
	C8121 19.12.2013 A8088 19.12.2013	1100				ქობულეთი
	C 8121 19.12.2013 A 8088 19.12.2013	2600				ქობულეთი
	C 8121 19.12.2013 A 8088 19.12.2013	3100				ქობულეთი
3	C23804 13.12.13 A23761 13.12.13	3840	25750	21446	3217	ხელვაჩაური
	C23804 13.12.13 A23761 13.12.13	3700				ხელვაჩაური
	C23804 13.12.13 A23761 13.12.13	12340				ხელვაჩაური
	C23804 13.12.13 A23761 13.12.13	1720				ხელვაჩაური
	C23804 13.12.13 A23761 13.12.13	4150				ქობულეთი
	C23804 13.12.13. A23761 13.12.13	3686				ქობულეთი
	C23804 13.12.13. A23761 13.12.13	9000				ქობულეთი
	C23804 13.12.13. A23761 13.12.13	8760				ქობულეთი
ჯამი		82419	65830	47409	7111	

ამრიგად, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ციტრუსის სეზონის მოსავლის აღების ღონისძიებათა ხელშეწყობის და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გამოყოფილი თანხებიდან 19,0 ათასი ლარი გახარჯულია არამიზნობრივად.

2. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის, „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტით გათვალისწინებული, ფაქტობრივი დანახარჯების წარმოდგენლობის პირობებში, მიმწოდებელზე გადახდილია 124 582 ლარი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2014 წელს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებულია 13 ხელშეკრულება. ხელშეკრულებათა ჯამური ღირებულება 701,9 ათას ლარს, ხოლო გადახდილი თანხა 656,0 ათას ლარს შეადგენს. მუნიციპალიტეტის მიერ ანგარიშსწორება განხორციელებულია იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლების მიერ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ, რითაც დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტი. აუდიტის ჯგუფის მიერ, გარე დადასტურების ფორმით, მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ, თუმცა მიმწოდებლების უმრავლესობას შესაბამისი ინფორმაცია არ წარმოდგენია ან/და წარმოდგენილი ინფორმაცია არ იძლევა დანახარჯების იდენტიფიცირების საშუალებას.

N	ობიექტის დასახელება	მიმწოდებელი	ხელშეკრულება			გადახდილია
			ნომერი	თარიღი	ღირებულება	
1	მემედ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები	შპს „მმ მშენი“	108	06/23/14.	18,7	17,9
2	სოფ. ნაკაიძეების გაზიფიკაციის სამუშაოები	შპს „აირმშენი 2009“	111	6/30/2014	18,5	18,5
3	სამშენებლო- სარემონტო სამუშაოები	შპს „ჯეო ფასადი“	112	7/1/2014	32,1	8,4
4	სამშენებლო- სარემონტო სამუშაოები	შპს „მშენებელი“	118	7/10/2014	21,5	1,1
5	ხალაში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებები	ფ.პ.,,მირიან ცეცხლაძე“	153	10/24/2014	0,5	0,5
6	სოფ. ლელვამი მდინარეზე ხიდის მოწყობის საუშაოები	შპს „მშენებელი“	168	11/21/2014	9,2	9,2
7	სოფ.აჭყვისთავში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებები	ფ.პ. „...ენვერ ცეცხლაძე“	190	12/18/2014	3,5	3,5
8	სოფ.ქაქუთიშვილი და სოფ.აჭყვისთავში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებები	ფ.პ. „...ენვერ ცეცხლაძე“	182	12/12/2014	3,4	3,4

9	ქობ მუნიციპ. ტერიტ. სტიქიის შედეგად მიყ. ზიანის სალიკ. სამუშაოები	შპს „სამშენებლო კომპანია ვირა-ს ფილიალი ვირა-საქართველო“	183	12/12/2014	9,3	9,3
10	სოფ.აჭყვისთავში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებები	ფ.პ. „...ენვერ ცეცხლაძე“	190	12/18/2014	0,6	0,6
11	სოფლებსა და თემებში არსებულ დაზიანებულ გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები	შპს „ბელუ“	194	12/18/2014	569,4	569,2
12	სოფ. აჭყვისთავში სტიქიის შედეგად მიყ.ზიანის სალიკ. სამუშაოები	ფ.პ. „ენვერ ცეცხლაძე“	199	12/19/2014	0,2	0,2
13	სოფ. დაგვაში ქვათაცვენის საწინააღმდეგო სამუშაოები	შპს „მმ შენი“	200	12/23/2014	15,0	14,3
ჯამი					701,9	656,0

3. აქტივების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად, ბიუჯეტში მიუმართავი თანხების ოდენობა 32,2 ათას ლარს შეადგენს.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, საანგარიშო პერიოდში, ბიუჯეტის შესაბამის შემოსავლებში ჩარიცხულია 239,0 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 108,6 პროცენტია. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი შემოდებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, რომლის შესაბამისადაც მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური ახდენს ხელშეკრულებების გაფორმებას და მასვე ეკისრება აღნიშნული მოსაკრებლის ამოღება. მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხელშეკრულებები გაფორმებულია 1257 ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან, რომელთა შესაბამისადაც დასუფთავების მოსაკრებლის სახით გადახდას დაეკემდებარა 271,2 ათასი ლარი. ფაქტიურად 2014 წელს აღნიშნული პირების მიერ გადახდილია 239,0 ათასი ლარი, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადასახდელ თანხასთან შედარებით 32,2 ათასი ლარით ნაკლები. აღსანიშნავია, რომ არ არის შემუშავებული ცალკეული გადამხდელის მიერ მოსაკრებლის გადახდისა და დავალიანების აღრიცხვის მექანიზმი.

4. მუნიციპალიტეტის მიერ, ვალდებულების სახით არ არის აღრიცხული მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოებისა თუ მომსახურების ღირებულებიდან, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლებზე დაკავებული 345,8 ათასი ლარი.

2014 წელს, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, შემსყიდველს უფლება ჰქონდა დაეკავებინა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 3-დან 5 პროცენტამდე თანხა.

დაკავებული თანხის გამოქვითვები წარმოებდა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურაში ნაჩვენები თანხების პროპორციულად. მთლიანი დაკავებული თანხა შემსყიდველს უნდა გადაეხადა მშენებლობის საბოლოოდ ჩაბარების შემდეგ, შესაბამისი დასკვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად, 2014 წელს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნული უფლების გამოყენების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მიერ დაკავებულია სულ 38 შემთხვევაში 480,8 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების (ფორმა N2, ფორმა N3) შესაბამისად ანაზღაურებულია 135,0 ათასი ლარი, შესაბამისი საბანკო გარანტიის საფუძველზე 93,9 ათასი ლარი, ხოლო 251,9 ათასი ლარი კვლავ რჩება მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიშზე.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საბანკო გარანტიის საფუძველზე გადარიცხული და მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიშზე დაკავებული თანხა სულ 345,8 ათასი ლარი, წარმოადგენს უკვე შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებას, რომელიც შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით შესრულებულად აღიარებულია გამგეობის შესაბამისი სამსახურების მიერ და ბუღალტრულად უნდა აღრიცხულიყო ვალდებულების სახით, რაც არ განხორციელებულა¹.

5. ა(ა)იპ „ქობულეთის პარკში“ არ ხდებოდა ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივების, ქონების გადასახადით დაბეგვრა და შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვა.

ა(ა)იპ „ქობულეთის პარკი“ ახდენს ბალანსზე რიცხული სხვადასხვა აქტივების სასყიდლიანი ფორმით სარგებლობაში გადაცემას, რისთვისაც აუქციონზე დაფიქსირებული ფასის შესაბამისად ღებულობდა შემოსავალს. აღნიშნული საქმიანობა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, უნდა ჩათვლილიყო ეკონომიკურ საქმიანობად. შესაბამისად, ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობის მოთხოვნა², რომლის მიხედვითაც ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადით დასაბეგრ ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული, ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობები.

¹ შესრულებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 23 მუხლის მე-8 და 29 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

² საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“, 203 -ე მუხლის „ბ“, და 206-ე მუხლის 1 პუნქტი „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნები.

6. ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ, არ არის აღრიცხული სოფელ კვირიკეში საბავშვო ბაღის მოწყობის სამუშაოების შედეგად დემონტირებული 247 კვ.მ მოცულობის ლითონის ფურცლოვანა.

მუნიციპალიტეტსა და შპს „უნივერსალს“ შორის, 2014 წლის 28 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება³ სოფელ კვირიკეში საბავშვო ბაღის მოწყობითი სამუშაოების შესახებ. სახელშეკრულებო ღირებულება 100,1 ათასი ლარით განისაზღვრა. სამუშაოთა შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად, მოხდა უკანა ფასადზე არსებული 133 კვ.მ ლითონის ფურცლოვანებისა და 228 კვ.მ თუნუქის ბურულის დემონტაჟი, საიდანაც ამავე სამუშაოების ფარგლებში გახარჯულია 114 კვ.მ ლითონის ფურცლები, ხოლო 247 კვ.მ ლითონის ფურცლები არ არის აღრიცხული და ინფორმაცია მათი ადგილსამყოფელის ან გამოყენების შესახებ, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.

7. ა(ა)იპ „ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 2014 წლის ბალანსში, არასწორად არის აღრიცხული 440,7 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობები.

ა(ა)იპ „ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 2014 წლის ბალანსში, 440,7 ათასი ლარის ღირებულების ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები, აღრიცხულია „პასუხისმგებელ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობების“ ანგარიშზე, რითაც დარღვეულია „ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 43-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები.

8. ა(ა)იპ „ქობულეთის სოფლის წყალში“ ადგილი აქვს ცვეთის არასწორად დარიცხვის ფაქტებს.

ა(ა)იპ „ქობულეთის სოფლის წყალის“ მიერ, ცვეთა დარიცხულია 557,8 ათასი ლარის ღირებულების პოლიეთილენის წყლის მილებზე, რომელთა ექსპლუატაცია არ ხდება და რომლებიც ბალანსში აღრიცხულია მატერიალური მარაგების სახით, რის გამოც შეუსრულებელია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და

³ SPA 140007532. ხელშეკრულება N77.

ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-19 მუხლის მოთხოვნები, რომლის შესაბამისად ცვეთა ერიცხება ძირითად საშუალებებს.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ქობულეთის მუნიციპალიტეტისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

• სახელმწიფო შესყიდვები

1. მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, 2014 წლის 15 და 16 იანვარს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები ქობულეთის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე. სამშენებლო ობიექტის სავარაუდო ღირებულება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა და ქვედა სამების, ასევე ხუცუბნის დასახლების სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 1104,0 ათასი ლარით, ხოლო ქ. ქობულეთში გელაურის დასახლებისა და ბაგრატიონის ქუჩაზე არსებული ამორტიზირებული წყლისა და კანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 436,4 ათასი ლარით განისაზღვრა. სავარაუდო ღირებულების აღნიშნული სხვაობის მიუხედავად, ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, ორივე შემთხვევაში ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 2011, 2012, 2013 წლების განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონოდა ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამშენებლო სამუშაოები. კერძოდ, წყლისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობის სამუშაოები, საერთო ღირებულებით არანაკლებ 1500,0 ათასი ლარის ოდენობით, რაზედაც სისტემაში ატვირთული უნდა ყოფილიყო შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. პრეტენდენტს სამუშაოების დროული და ხარისხიანი შესრულების დადასტურების მიზნით მოეთხოვებოდა შემსყიდველი ორგანიზაციისაგან დადებითი რეკომენდაციის წარმოდგენა და ამასთან, ასეთი შესრულებული სამუშაოების ღირებულება ერთ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო არანაკლებ 500,0 ათასი ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში არანაკლებ 250, 0 ათასი ლარი.

გამოცდილების მაღალი მახასიათებლები მოთხოვნილი იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, 2014 წლის 27 აპრილს, სოფელ ბუკნარში წყალდამცავი დამბის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერით⁴. 45,0 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულების სამუშაოების შესყიდვის ტექნიკური დოკუმენტაციით, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 2011, 2012, 2013 წლების განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონოდა ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამშენებლო სამუშაოები 500,0 ათასი ლარის ოდენობით. ამასთან, ამ პერიოდში შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს ერთ-ერთ ობიექტზე შესრულებული უნდა ჰქონოდა ანალოგიური სამუშაოები არანაკლებ 100,0 ათასი ლარისა. აღსანიშნავია, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების ანალოგიური მახასიათებლები მოთხოვნილია მუნიციპალიტეტის მიერ ქ. ქობულეთში, თამარ მეფის სანაპიროს 1000 მეტრიანი მონაკვეთის სავალი ნაწილის კეთილმოწყობითი სამუშაოების შესყიდვისას⁵, რომლის სავარაუდო ღირებულებაც 397,4 ათას ლარს შეადგენდა, მაშინ როცა 54,4 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულების, საფეხბურთო სტადიონების მშენებლობის სამუშაოების შესყიდვისას⁶, გამოცდილების განმსაზღვრელი საკვალიფიკაციო მოთხოვნა, შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ, მხოლოდ 50,0 ათასი ლარით განისაზღვრა.

სატენდერო წინადადებების აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრის პირობებში, სამივე შემთხვევაში ტენდერებში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „უნივერსალ-ჯორჯია 2008“, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები⁷ 971,4 ათასი ლარის, 348,0 ათასი ლარის და 45,0 ათასი ლარის ღირებულებებით. აღსანიშნავია, რომ გამოცდილების დადასტურების მიზნით წარმოდგენილი მასალები სამივე შემთხვევაში ერთი და იგივეა და მათ შესაბამისად, პრეტენდენტს სატენდერო მოთხოვნით განსაზღვრულ პერიოდში შესრულებული ჰქონდა 1827,2 ათასი ლარის ღირებულების ანალოგიური ხასიათის და სირთულის სამუშაოები. ამასთან, გამოცდილების დადასტურების მიზნით წარმოდგენილი 10 ხელშეკრულებიდან, 8 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 1264,0 ათასი ლარი, გაფორმებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტთან.

მიგვაჩნია, რომ სატენდერო მოთხოვნის აღნიშნული ფორმით განსაზღვრა ზღუდავს კონკურენციას და შესაძლოა გათვლილი ყოფილიყო კონკრეტულ მიმწოდებელზე

⁴ SPA 140011100

⁵ SPA 140001260

⁶ SPA 140018376

⁷ ხელშეკრულება N49. 10.03.2014 , ხელშეკრულება N50. 10.03.2014, ხელშეკრულება N97. 09.06.2014

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ი/მ „შალვა მესხიძეს“ შორის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგების გათვალისწინებით, 2013 წლის 27 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება⁸, ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და სანიაღვრე ჭების მიმდინარე ექსპლუატაციასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების ღირებულება 72,0 ათასი ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა ქალაქ ქობულეთში არსებული 16752 გრძივი მეტრი დახურული, 11364 გრძივი მეტრი ღია და 576 ცალი სანიაღვრე ჭის გაწმენდით სამუშაოებს. ასევე, ქალაქ ქობულეთში არსებული სანიაღვრე სატუმბი სადგურის მიმდინარე ექსპლუატაციას, რაც თავის თავში მომსახურე პერსონალის ხელფასს, კომუნალურ ხარჯს და მიმდინარე შენახვის ხარჯებს მოიცავდა. ამასთან, სატუმბი სადგურის მიმდინარე რემონტისთვის გაწეული ხარჯების შესახებ წარდგენილი უნდა ყოფილიყო შესაბამისი დოკუმენტაცია.

სამუშაოების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად ირკვევა, რომ 2014 წელს ი/მ „შალვა მესხიძეს“ შესრულებული აქვს 16742 გრძივი მეტრი დახურული ტიპის და 11364 გრძივი მეტრი ღია ტიპის სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, რაც შესაბამისად 10 და 24 გრძივი მეტრით ნაკლებია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოცულობასთან. ამასთან, გაწმენდილად ნაჩვენებია 537 ცალი სანიაღვრე ჭა, რაც 39-ით ნაკლებია ხელშეკრულებით მოთხოვნილ მოცულობასთან. ამასთან ანგარიშების შესაბამისად, სანიაღვრე სატუმბი სადგურის მიმდინარე ექსპლუატაციისთვის გამოყოფილი თანხა 8,2 ათასი ლარი, მხოლოდ კომუნალური ხარჯებისთვის იქნა გამოყენებული, რაზედაც შესაბამისი დოკუმენტაცია აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ასინიზაციის ავტომანქანის ქონის ვალდებულებასთან დაკავშირებით, ი/მ „შალვა მესხიძეს“ წარდგენილი აქვს შპს „ბათუმის წყალთან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც, დამქირავებელს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის უფლება მხოლოდ თვეში ერთხელ ჰქონდა, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათან დაკავშირებით რისკის შემცველი გარემოებაა.

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, ჩატარებული ელექტრონული ტენდერის⁹ შედეგების გათვალისწინებით, 2014 წლის 29 იანვარს შპს „სანდასუფთავებასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სანიტარული დასუფთავების მომსახურების შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება 1235,9 ათასი ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა 1575,6 ათასი კვ.მ ფართობის დაგვა-

⁸ ხელშეკრულება N06. 27.12.2013.

⁹ SPA 130029018

დასუფთავებას, ქალაქ ქობულეთისა და დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გადაადგილების აღკვეთას, დაცემული პირუტყვის გადატანა-გაუვნებელყოფას და ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლა-პატრონობას.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშებისა და მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად ირკვევა:

- გაუვნებელყოფილია 12 ერთეული დაცემული პირუტყვი, რისთვისაც გადახდილია 0,5 ათასი ლარი, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი;

- ნაგავსაყრელის მოვლისათვის ყოველთვიურად გადახდილია 4,5 ათასი ლარი, სულ 50,0 ათასი ლარი, თუმცა რა სამუშაოებს ითვალისწინებდა ამ მიმართებით ხელშეკრულება და რეალურად რა სამუშაოები შესრულდა, ცნობილი არ არის;

- მსხვილფეხა პირუტყვის მოძრაობის აღკვეთისათვის, ყოველთვიურად გადახდილია 5,8 ათასი ლარი, სულ 63,3 ათასი ლარი, თუმცა რა ღონისძიებები გატარდა და რამდენად იქნა უზრუნველყოფილი ქალაქ ქობულეთისა და დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე პირუტყვის მოძრაობისა და გადაადგილების აღკვეთა, არ არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებდა ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ადგილი აქვს არასათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე 117,9 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ფაქტებს.

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, 2014 წლის 3 ივნისს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი¹⁰, ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებსა და თემებში არსებულ დაზიანებულ გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის შესახებ. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 950,1 ათასი ლარით განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის N471 განკარგულების შესაბამისად, გამგეობას, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შესყიდვა უნდა განხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის ფორმით, თუმცა შესყიდვის ფორმად გამოყენებული იქნა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, რაც შეუსაბამოა როგორც საქართველოს მთავრობის ზემოთ აღნიშნული განკარგულების, ასევე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან¹¹, რომლის შესაბამისადაც, აღნიშნული ღირებულების სამუშაოების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით უნდა განხორციელდეს. ამასთან, ტექნიკური საშუალებების ფლობის ან სარგებლობის

¹⁰ SPA140014171

¹¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი

დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო განაცხადით გათვალისწინებული მოთხოვნის მიუხედავად, შესყიდვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული და ვერც აუდიტის პერიოდში იქნა წარმოდგენილი.

5. აუდიტის პერიოდში დაფიქსირებულია 11 შემთხვევა, როცა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვაში განხორციელებულია ცვლილებები, რომელთა შესაბამისადაც შეიცვალა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობები, ამოღებული და დამატებული იქნა ახალი სამუშაოები, რომელთა ღირებულებებიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების შესაბამისად განისაზღვრებოდა. ამასთან, ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში, არ ხდებოდა ცვლილებების შეთანხმება პროექტის ავტორთან.¹²

ათასი ლარი

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მიმწოდებელი	ხელშეკრულების ღირებულება	ცვლილების განხორციელების თარიღი	შენიშვნა
1	N133. 5.09.2014	შპს „უნივერსალი“	409,3	23.10.2014	არ არის შეთანხმება
2	N105. 17.06.2014	შპს „გზა XXI“	1579,0	8.09.2014	არ არის შეთანხმება
3	N53. 10.03.2014	შპს „გზა XXI“	511,5	10.03.2014	არ არის შეთანხმება
4	N51. 10.03.2014	შპს „გზა XXI“	449,0	04.07.2014	არ არის შეთანხმება
5	N50. 10.03.2014	შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“	971,4	30.05.2014	არ არის შეთანხმება
6	N129. 01.09.2014	შპს „მტმ“	455,6	5.01.2015 16.03.2015	არ არის შეთანხმება
7	N93. 4.06.2014	შპს „უნივერსალი“	9,8	3.07.2014 10.07.2014	არ არის შეთანხმება
8	N177. 10.12.2014	შპს „უნივერსალი“	119,8	23.12.2014	არ არის შეთანხმება
9	N132. 04.09.2014	შპს „მეკსი“	188,2	29.10.2014 28.11.2014	არ არის შეთანხმება
10	N131. 03.09.2014	შპს „უნივერსალი“	65,4	28.10.2014	არ არის შეთანხმება
11	N138. 11.09.2014	შპს „უნივერსალი“	46,6	02.12.2014	არ არის შეთანხმება

6. აუდიტის პერიოდში, სატენდერო განცხადებითა და გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხის გამოყენება შესაძლებელი იყო შემსყიდველთან შეთანხმებით, შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, მხოლოდ სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი ახალი სახეობის სამუშაოების შესასრულებლად. აუდიტის მიმდინარეობისას, ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში, ვერ იქნა წარმოდგენილი გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესაბამისი მოტივირებული დასკვნა. ამასთან, ამ

¹² შეუსრულებელია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით დამტკიცებული “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობები” 64-ე მუხლის მოთხოვნები.

შემთხვევებში სამუშაოები იგივე სახისაა, რაც ხარჯთაღრიცხვით იყო გათვალისწინებული.

ათასი ლარი

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მიმწოდებელი	გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება	შენიშვნა
1	N133. 05.09.2014	შპს „უნივერსალი“	7,5	წინასწარი შეთანხმების გარეშე
2	N105. 17.06.2014	შპს „გზა XXI“	25,7	წინასწარი შეთანხმების გარეშე
3	N53. 10.03.2014	შპს „გზა XXI“	12,6	წინასწარი შეთანხმების გარეშე
4	N44. 28.02.2014	შპს „ნიუ კონსტრაქშენ“	10,9	წინასწარი შეთანხმების გარეშე
	ჯამი		56,7	

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „გზა -XXI“-ს შორის, 2014 წლის 17 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება¹³ ქ. ქობულეთში ე.წ საავადმყოფოს უბნის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოების შესახებ. ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულება 1579,0 ათასი ლარით განისაზღვრა, თუმცა 2014 წლის 8 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებით შეიცვალა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ საკითხთა სახეები და მოცულობები და შედეგად სახელშეკრულებო ღირებულება შემცირდა 0,5 ათასი ლარით და 1578,5 ათასი ლარი შეადგინა.

გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, საბოლოო მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელს უნდა წარედგინა ფორმა N2 და ფორმა N3, ფარული სამუშაოების აქტი დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული დასკვნა, რითაც დადასტურდებოდა შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის რაოდენობრივი სიზუსტე, შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების ხარჯთაღრიცხვის მოცულობებთან შესაბამისობა და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

ანგარიშების (ფორმა N2) შესაბამისად, ფაქტიურად შესრულებულმა სამუშაოთა ღირებულებამ 1570,9 ათასი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ანგარიშები დამოწმებულია ტექნიკური ზედამხედველების მიერ, ხოლო შუალედური მიღება - ჩაბარების აქტები - ინსპექტირების ჯგუფის მიერ, თუმცა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული დასკვნით, შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება 1537,9 ათას ლარს შეადგენს, რაც 33,0 ათასი ლარით ნაკლებია მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ შესრულებულად ნაჩვენებ სამუშაოთა ღირებულებაზე. ამასთან, ხელშეკრულების 7.6 პუნქტის

¹³ ხელშეკრულება N105. SPA 140011138

მოთხოვნების შეუსრულებლობის პირობებში¹⁴, დამკვეთის მიერ გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულების სახით ანაზღაურებულია 25,7 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, საექსპერტო დასკვნა უნდა შეხებოდა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხსაც, თუმცა ხარისხის შესახებ დასკვნაში არაფერია აღნიშნული.

ანალოგიური მდგომარეობაა შპს „გზა -XXI“-თან 2014 წლის 10 მარტს გაფორმებული N53 ხელშეკრულების შესრულების მიმართებით. კერძოდ, ექსპერტიზის დასკვნის¹⁵ შესაბამისად, შპს „გზა -XXI“-ის მიერ შესრულებული, დაბა ჩაქვში, თამარ მეფის ქუჩის მონაკვეთის ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, შეადგენს 519,3 ათას ლარს, რაც 20,8 ათასი ლარით მეტია ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებაზე. ამასთან, არც ამ შემთხვევაში საექსპერტო დასკვნაში არაფერია ნათქვამი შესრულებული სამუშაოების ხარისხზე.

ანალოგიური შინაარსის შეუსაბამოებები გამოვლინდა:

ათასი ლარი						
N	ხელშეკრულება ნომერი და თარიღი	მიმწოდებელი	სახელშეკრულებო ღირებულება	შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება (ფორმა N2)	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება (საექსპერტო დასკვნა)	სხვაობა
1	N51. 10.03.2014	შპს „გზა XXI“	449,0	449,0	445,4	3,6
2	N49. 10.03.2014	შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“	348,0	348,0	344,7	3,3
3	N55. 12.03.2014	შპს „ავტოგზა“	68,9	68,9	68,3	0,5
4	N50. 10.03.2014	შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“	971,4	952,3	949,9	2,4
5	N129. 01.09.2014	შპს „მტმ“	455,6	455,6	453,4	2,1
6	N177. 10.12.2014	შპს „უნივერსალი“	119,8	119,5	113,7	5,9
7	N110. 07.06.2013	შპს „კავკასიისინვესტი“	598,0	590,4	588,2	2,2
8	N132. 04.09.2014	შპს „იმეისი“	188,2	186,5	183,0	3,5
9	N142. 30.09.2014	შპს „სამშენებლო საწარმო გაერთიანება იმერეთი“	413,5	413,5	406,3	7,2
10	N67. 28.03.2014	შპს „ს.ე.ნ“	264,6	156,4	151,8	4,5
11	N48. 6.03.2014	შპს „ბილიდგ დეველოპერი“	2077,1	2037,7	2030,0	7,7
11	N133. 05.09.2014	შპს „უნივერსალი“	409,3	405,5	402,1	3,4
12	N44. 28.02.2014	შპს „ნიუკონსტრაქშენი“	1200,0	1076,2	1079,8	3,6

8. ა(ა)იპ „ქობულეთის სოფლის წყალის“ მიერ, 2014 წლის 19 სექტემბერს გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, 2 ერთეული მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის შესახებ. ტენდერის სავარაუდო ღირებულება 24,0 ათასი ლარით განისაზღვრა და სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული იყო, „პიკაპის“

¹⁴ 7.6 მუხლი -ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხა გამოიყენება მხოლოდ სამუშაოს შესრულების პროცესში დამატებით ჩასატარებელი ახალი სახეობის სამუშაოების შესასრულებლად, შესაბამისი მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, შემსყიდველთან შეთანხმებით.

¹⁵ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნა N0061444014.

კატეგორიის 2002 წლის შემდგომ პერიოდში გამოშვებული, 200,0 ათასზე ნაკლები გარბენის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, ფიზიკურმა პირმა გულნარა ჩელებაძე-მჭავანაძემ, რომელმაც სატენდერო კომისიას შესთავაზა, იაპონური წარმოების „SUBARU FORESTER“-ის 2003 წლის მოდელი - 15,0 ათას ლარად, რომლის ტიპი, ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის შესაბამისად არის არა „პიკაპი“, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციით იყო მოთხოვნილი, არამედ „უნივერსალი“ და რუსული წარმოების ავტომანქანა „VAZ 2329“-9,0 ათას ლარად.

სატენდერო კომისიის 2014 წლის 26 სექტემბრის N1 ოქმის შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება ჩაითვალა სრულ შესაბამისობაში სატენდერო მოთხოვნებთან და მასთან 2014 წლის 6 ოქტომბერს გაფორმდა, 24,0 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის შესახებ. აღსანიშნავია, რომ „SUBARU FORESTER“-ის მოთხოვნილი მოდელისა და ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულება 9,0 ათასი ლარის ფარგლებში მერყეობს და შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებით ბაზრის კვლევის ჩაუტარებლობის შედეგად, სახეზეა საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვა.

